



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

12 ივლისი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №115

შპს „გურია ტრეველი“-სათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების
სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული
კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ და „პ.გ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3
პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების
შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19⁵ (პრიმა) მუხლის და „საქართველოს
სამოქალაქო კოდექსი“-ს II-ე თავის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „გურია ტრეველი“-ს გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო
უზუფრუქტით, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის
ვადით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ურეკში მდებარე შენობა-
ნაგებობა განაშენიანების ფართი 33,8კვმ. სართულიანობა 1, დაზუსტებული ფართი
84.0კვმ. (სარეგისტრაციო ზონა 26, სექტორი 28, კვარტალი №21, ნაკვეთი №047,
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი 882011374480, მომზადების თარიღი
09/08/2011წ.)

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში
გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი